

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ჩ ა ო

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2022 წელი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ჩაო
სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	511 719	268 643
სხვა შემოსავლები		66 384	2 311
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5 871	5 871
მარაგის შეძენა		(73 450)	(31 587)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(125 681)	(69 643)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(88 149)	(82 077)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(71 333)	(36 227)
საგადასახადო ხარჯი		(27 996)	(4 631)
სხვა ხარჯი	6	(22 469)	(11 418)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		174 896	41 242
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(2 554)	(1 695)
ფინანსური ხარჯი		-	(786)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		172 342	38 761
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		172 342	38 761

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7 2 709 238	2 737 352	2 814 484
არამატერიალური აქტივები	8 -	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი	2 709 238	2 737 352	2 814 484
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9 53 480	40 606	34 736
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10 15 309	15 505	131 343
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	34 015	25 952	30 093
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11 37 637	64 935	997 322
სულ მიმდინარე აქტივები	140 441	146 996	1 193 494
სულ აქტივები	2 849 679	2 884 350	4 007 978
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2 017 592	2 247 192	2 307 192
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	823 577	632 287	593 527
სულ საკუთარი კაპიტალი	2 841 169	2 879 479	2 900 719
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12 -	-	1 098 506
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	1 098 506
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13 5 808	3 772	4 656
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	2 223	1 099	4 097
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8 031	4 871	8 753
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 849 200	2 884 350	4 007 978

დირექტორი

თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

დათო ზოიძე



შპს ჩაო
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	626 273	312 693
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(332 339)	(20 203)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(125 681)	(54 330)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	168 253	238 160
გადახდილი გადასახდები	(131 446)	(53 307)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	36 807	184 853
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	36 807	184 853
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(62 009)	(10 284)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(62 009)	(10 284)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის ძირის გადახდა	-	(1 099 532)
სესხის პროცენტის გადახდა	-	(6 956)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	458	23
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(2 554)	(491)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2 096)	(1 106 956)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(27 298)	(932 387)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	64 935	997 322
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	37 637	64 935

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩაო ს.ნ 445402617, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 27.10.2011 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი თამაზ მახარაძე (პ/ნ:61001010137).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების მიწოდება, ასევე ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევბუღებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუთრო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსაყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	511 719	261 743	270 684
2 საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	64 689	6 900	65 498
3 სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1 694,92		
ჯამი:	578 104	268 643	336 181

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 სარეკლამო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	17 063	5 724	1 078
2 ბუნებრივი აირის ხარჯი	13 300,25	6 135	7 987
3 ელექტრო ენერგიის ხარჯი	14 783,26	11 015	7 316
4 წყლისა და კანალიზაციის მომსახურების ხარჯი	10 045,63	3 336	2 088
5 დასუფთავების მოსაკრებელი	972,00	810	870
6 საკაბალო ტელევიზიის მომსახურების ხარჯი	540,00	180	495
7 საკომუნიკაციო ხარჯი	2 597,26	2 038	2 805
8 სხვა მომსახურების ხარჯი	12 031,95	6 990	47 395
ჯამი:	71 332,92	36 227	70 034

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	4 414,57	2 422	4 825
2 დახმარების და ქველმოქმედების ხარჯი	0	1 012	588
3 არასაგადასახადო ხარჯი		-	-
4 სხვა მომსახურების ხარჯი	14 208,14	7 984	1 092
ჯამი:	18 622,71	11 418	6 506

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
1 დაუმთავრებელი მშენებლობა	3 390			3 390
2 შენობა-ნაგებობა	3 348 513			3 348 513
3 მანქანა დანადგარები	121 163	37 330	3 160	86 993
4 ოფისის აღჭურვილობა	31 339	2 203	997	30 133
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	180 932	7 655	11 558	184 835
6 სატრანსპორტო საშუალებები	14 820	14 820	9 000	9 000

ჯამი:	3 700 157	62 008	24 715	3 662 864
ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
1 შენობა-ნაგებობა	755 470	67 898		687 572
2 მანქანა დანადგარები	63 630	9 338	3 058	57 350
3 ოფისის აღჭურვილობა	23 734	1 848	843	22 729
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	147 374	8 176	10 262	149 460
5 სატრანსპორტო საშუალებები	889	889	8 400	8 400
ჯამი:	991 097	88 149	22 563	925 511
საბალანსო ღირებულება	2 709 060			2 737 353

(178,27)

0,74

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610

ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610
საბალანსო ღირებულება	-			-

9. მარაგი

(ლარი)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 სარეალიზაციო საქონელი	596	440	427
2 ნედლეული და მასალები	4540	1 813	780
3 დაუმთავრებელი წარმოება	6446,43	-	-
4 მზა პროდუქცია	4478	4 114	3 808
5 სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	37420	34 239	29 721
ჯამი:	53480,43	40 606	34 736

12 873

5 870

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1 სავაჭრო მოთხოვნები	10807	13 169	9 199
2 მოთხოვნა პერსონალით	0	0	0

3	გადახდილი ავანსები	0	2 140	122 144
	ჯამი:	10807	15 309	131 343

115 838

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1	ფული საბანკო ანგარიშზე	37379	37 379	993 758
2	ნაღდი ფული სალაროში	258	258	3 564
	ჯამი:	37637	37 637	997 322

997 322

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1	სესხის ხელშეკრულება #3649653 თარიღი: 01.07.2016		-	844 679
	ჯამი:		-	844 679

844 679

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
1	სავაჭრო ვალდებულებები	1603	5 808	4 656
2	ვალდებულება პერსონალთან		-	-
	ჯამი:	1603	5 808	4 656

884

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 1 მარტს.

დირექტორი

თამაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

დათო ზოიძე

